

# დიდაქტიკა და აუდიტორრის გააქტიურება



This project has received funding from the European Union's Horizon 2020 research and innovation programme under grant agreement No 785081. Disclaimer: The content of this material does not reflect the official opinion of the European Union. Responsibility for the information and views expressed lies entirely with the author(s).

# მოდულის შესახებ ინფორმაცია (... რა არის და რა არ არის ეს მოდული)

## ეს მოდული (არის) ...

- **პრაქტიკული სახელმძღვანელო**, რომელშიც მოცემულია აუდიტორიის გააქტიურების და მათი ჩართულობის უზრუნველყოფისთვის საჭირო ინსტრუმენტები
- გვთავაზობს **სტუდენტების სხვადასხვა საჭიროებების** გათვალისწინების შესაძლებლობას
- **პრაქტიკული და შესაფერისი** შესაძლებლობების განვითარების ინიციატივა

## ეს მოდული არ არის ...

- **სრული და ამომწურავი** სია გამააქტიურებელი მეთოდებისა და ინსტრუმენტების შესახებ
- **სამეცნიერო კვლევა**, რომელშიც ასახულია სასწავლო მასალის მიწოდების “საუკეთესო” მეთოდი
- **მისადაგებული ყველა** ქვეყანასთან, ადგილობრივი პირობების გათვალისწინების გარეშე

# სწავლის შედეგები

- ამ მოდულის დასრულების შემდეგ, მონაწილე შეძლებს:
  - გამოიყენოს აუდიტორიის გააქტიურების და ჩართულობის მეთოდები
  - გაითავისოს სხვადასხვა ტიპის სასწავლო სტრატეგიები და შეძლოს მრავალფეროვან სტუდენტურ გარემოში მუშაობა
  - გამოიყენოს ინსტრუმენტები ლექციის დასაგეგმვად, ჩასატარებლად და რეფლექსიის მოსახდენად
  - უკუკავშირის მიღება

-ღან:



-მდე:



## მიმოხილვა იმ საკითხებისა, რომელსაც განვიხილავთ

1	“აისბრეიკერები”
2	თეორიების შესწავლა
3	როგორ დავგეგმოთ ლექცია
4	როგორ გავააქტიუროთ მონაწილეები
5	როგორ მივიღოთ უკუკავშირი
6	როგორ მოვახდინოთ ლექციაზე რეფლექსია



## მიმოხილვა იმ საკითხებისა, რომელსაც განვიხილავთ

1	“აისბრეიკერები”
2	თეორიების შესწავლა
3	როგორ დავგეგმოთ ლექცია
4	როგორ გავააქტიუროთ მონაწილეები
5	როგორ მივიღოთ უკუკავშირი
6	როგორ მოვახდინოთ ლექციაზე რეფლექსია



# მოდით, დავიწყოთ ერთმანეთის გაცნობით (Let's break the ice)

- აქტივობას - „აისბრეიქერი“ შეიძლება ჰქონდეს მისაღმების ფორმა, გაცნობითი დატვირთვა ან იყოს საუბრის წამოწყების ხელშემწყობი საშუალება.
- რატომ უნდა გამოიყენოთ „აისბრეიქერი“?
  - მონაწილეთა ინტერაქციის ხელშეწყობა
  - სესიის კონტენტის (შინაარსის) ხაზგასმა
  - სტატუსის, ასაკის, ეროვნებების და ა.შ. მიუხედავად, ადამიანების დაახლოება.



გაიგეთ მეტი თქვენი კოლეგების შესახებ  
("Carousel-ი, "Speed-Dating"-ი)

- რა გქვიათ?
- ვინ იყო თქვენი საყვარელი მასწავლებელი?
- რატომ იყო ის თქვენი საყვარელი მასწავლებელი?
- რა იყო თქვენთვის სწავლასთან დაკავშირებული ყველაზე საინტერესო გამოცდილება?





- საკუთარი თავის წარდგენა
- ჯგუფის კატეგორიების მიხედვით დაყოფა
- თქვენი მეზობლისთვის ინტერვიუს ჩამორთმევა
- „ფლიფჩარტი-პარკური“

## რა?

- კურსის დაწყებამდე, მონაწილეები ჩააბარებენ თავიანთ მოკლე რეზიუმეები (CV)
- თქვენ, 2-3 წინადადებით წარადგენთ თითოეულ მონაწილეს

## როგორ?

- სთხოვეთ მონაწილეებს, გაიხსენონ, მაგ. 3 ძირითადი ფაქტი მათი ცხოვრებიდან, რომლებიც დაკავშირებულია ამ კურსთან

## მომზადება

- დაფიქრდით იმაზე თუ რა ტიპის ფაქტებს გაიხსენებენ, სავარაუდოდ, მონაწილეები
- დროულად შეაგროვეთ რეზიუმეები და წაიკითხეთ ისინი, სანამ მათ წარდგენას დაიწყებთ

ვარიანტი: პრეზენტაციაზე, თქვენ ასევე წარადგენთ თქვენს რეზიუმეს



- სთხოვეთ მონაწილეებს წარადგინონ მოკლე რეზიუმეები და წინასწარ გაგიზიაროთ მათ შესახებ 3-5 ფაქტი
- ყოველი სტუდენტი მოცემული რეზიუმეს მიხედვით უნდა წარადგინოს



## რა?

- მონაწილეები მწკრივში გარკვეული მახასიათებლების მიხედვით დგებიან
- უკეთესად გაეცანით ჯგუფის შემადგენლობას
- გაცნობა საჭიროა მათი ჯგუფებად დაყოფისთვის

## როგორ?

- დაჯგუფება ხელს შეუწყობს მონაწილეებს რომ ისაუბრონ ერთმანეთში
- მაგალითი: “დამწკრივდით მარცხნიდან მარჯვნივ, ასაკის მიხედვით.”

## ვარიანტი

- თქვენც დადექით მწკრივში

- სთხოვეთ მონაწილეებს, რომ სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით დაეწყო
- იფიქრეთ მონაწილეთა საინტერესო მახასიათებლებზე
  - სემესტრების რაოდენობა
  - (შესაბამისი) გავლილი კურსების რაოდენობა
  - სასწავლო პროგრამების რაოდენობა
- ასევე, ღირებულებებისა და მოსაზრებების მიხედვითაც შეიძლება ჩამწკრივება
  - დაალაგეთ ისინი “ძალიან მნიშვნელოვანი”-დან “სრულიად უმნიშვნელო” -მდე ან “ძალიან უკმაყოფილო” - დან “ძალიან უკმაყოფილო” - მდე. მაგალითები:
    - როგორ ხასიათზე ხართ? (შეგიძლიათ, შეფასების შკალის სახით, დაფის ერთ მხარეს მზე დახატოთ და მეორე მხარეს - ღრუბლები)
    - რა იცით კურსის შინაარსის/კონტენტის შესახებ?
    - რამდენად მნიშვნელოვანია კურსის გარკვეული საკითხები?

## რა?

- მონაწილეები თავიანთ მეზობელს უსვამენ რამდენიმე კითხვას
- შემდეგ ისინი თავიანთ მეზობელს წარუდგენენ მთელს ჯგუფს
- ეს არის ერთმანეთის გაცნობის მარტივი მეთოდი

## როგორ?

- სანიმუშო კითხვები:
  - გავლილი სემესტრების რაოდენობა?
  - კურსთან დაკავშირებული მოლოდინები?
  - თქვენთვის ყველაზე საინტერესო (შესაბამისი) საკითხი?
  - ამ საკითხთან დაკავშირებით, სხვა კურსებსაც ესწრებით?

## ვარიანტი

- უფრო დიდ ჯგუფებში, ინტერვიუები შეიძლება ჩატარდეს 3 წევრისგან შემდგარ ჯგუფებში



- მოუწოდეთ, სტუდენტებს ინტერვიუ ჩამოართვან თავიანთ მეზობლებს და შემდეგ, წარუდგინონ ისინი მთელს ჯგუფს.
- თქვენ შეგიძლიათ წინასწარ შეადგინოთ სანიმუშო კითხვები, რომლებიც დაეხმარება სტუდენტებს ინტერვიუს ჩატარებაში. შეადგენთ თუ არა მსგავსს კითხვებს, დამოკიდებულია თქვენი სტუდენტების შესაბამის კომპეტენციაზე (როგორ შეუძლიათ ინტერვიუს ჩატარება).



## რა?

- მონაწილეები გაივლიან ფლიპჩარტების ბილიკზე, რომელზეც მოცემულია სხვადასხვა კითხვები
- მონაწილეები გაიცნობენ ერთმანეთს
- თქვენ კი გარკვეულ ინფორმაციას იღებთ თქვენი მონაწილეების შესახებ

## როგორ?

- მოიტანეთ რამოდენიმე ფლიპჩარტი და კალამი
- დიდ ოთახში გააკეთეთ ბილიკი, ფლიპჩარტებს შორის

## ვარიანტი

- მიმართეთ ამ მეთოდს, მონაწილეთა უკვე არსებული ცოდნის გადამოწმების მიზნით


- გააკეთეთ ფლიპჩარტების ბილიკი ცარიელ ოთახში და თითოეულ ფლიპჩარტზე ერთი კითხვა დაწერეთ.
- მაგალითები:
  - რა მოლოდინები გაქვთ კურსთან დაკავშირებით?
  - რომელი საკითხი გაინტერესებთ ყველაზე ძალიან?
  - რა არ გსურთ რომ მოისმინოთ და განიცადოთ?
  - რა მოსაზრებები გაქვთ საკითხ X- სთან დაკავშირებით?
- სანამ დააწყებინებთ მონაწილეებს აღნიშნულ აქტივობას, გააცანით მათ ბილიკის წესები
  - გაიარეთ ბილიკზე და უპასუხეთ თითოეულ კითხვას
  - თითოეული პასუხი პირდაპირ ფლიპჩარტზე დაწერეთ
  - დაწერეთ მხოლოდ საკვანძო სიტყვები და არა მთლიანი წინადადებები
  - რომ დაასრულებთ კითხვებზე პასუხების გაცემას, დაიკავეთ თქვენი ადგილი
- თითოეული მონაწილე იღებს მარკერს და შეუძლია დაიწყოს ბილიკის გავლა და კითხვებზე წერილობით პასუხების გაცემა. პასუხების წერისას, მონაწილეებს აქვთ შესაძლებლობა რომ გაიცნონ ერთმანეთი.
- ყველა მონაწილე რომ დაასრულებს პასუხების ფლიპჩარტზე წარდგენას, ჩამწკრივით ფლიპჩარტები კლასის წინაშე და განიხილეთ პასუხები. ინსტრუქტორს ასევე შეუძლია მონაწილეებს სთხოვოს უკეთ ანხან თავიანთი პასუხები.

## მიმოხილვა იმ საკითხებისა, რომელსაც განვიხილავთ

1	“აისბრეიქერები”
2	თეორიების შესწავლა
3	როგორ დავგეგმოთ ლექცია
4	როგორ გავააქტიუროთ მონაწილეები
5	როგორ მივიღოთ უკუკავშირი
6	როგორ მოვახდინოთ ლექციაზე რეფლექსია



- არაფერია კარგ თეორიაზე უფრო პრაქტიკული
- კიდევ უფრო პრაქტიკული: ოთხი განსხვავებული თეორია
- მაშასადამე: აიღეთ საუკეთესო ყველა თეორიიდან



- სწავლა კონცეპტუალიზებულია, როგორც **გარეგან ქცევაში** მომხდარი ცვლილება, რომელიც მიღწეულია განმტკიცებითა და გამეორებით.
- არ არის მცდელობა რომ თეორიაში ცერებრალური ფუნქციის ინტეგრირება მოხდეს.
- მასწავლებელი პასუხისმგებელია სტიმულის კონტროლზე, მოსწავლეები კი შესაბამისად რეაგირებენ.
- სწორი სტიმულირება მოსწავლეებს პრობლემის სწორად გადაჭრაში ეხმარება.

## რჩევები:

- მიიღეთ პირდაპირი უკუკავშირი
- გაიმეორეთ მანამდე, სანამ მოსწავლე ვერ შეძლებს პრობლემის გადაჭრას
- გამოიყენეთ მონაწილეთა გამხნეების რბილი (პოზიტიური) მეთოდები



- სწავლა აღქმულია, როგორც ცოდნის შეძენა
- მრავალი ქვე-თეორია განმარტავს ინფორმაციის მიღებას, დამუშავებას, ორგანიზებასა და მოძიებას
- მასწავლებელი კასუხისმგებელია ისე გადმოსცეს მოსწავლეებს ინფორმაცია, რომ შესაძლებელი იყოს მისი ადვილად გადამუშავება
- მოსწავლეები ასრულებენ მასწავლებლის ინსტრუქციებს

## რჩევები:

- შეადგინეთ ისეთი სასწავლო მასალა, რომელიც ადვილად გასაგებია
- განვიხილოთ ინფორმაციის შენახვის შესაძლებლობა
- გაითვალისწინეთ ინფორმაციის დამახსოვრების შესაძლებლობა

- სწავლა კონცეპტუალიზებულია, როგორც თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების საფუძველზე რეალობის შექმნა
- მოსწავლეებმა უნდა მოახდინონ მიღებული ინფორმაციის ინტეგრირება მათ პირად გამოცდილებაში და ჩამოაყალიბონ ცოდნა
- მასწავლებელმა უნდა მისცეს მოსწავლეებს ფიქრის და გააზრების საშუალება

## რჩევები:

- გამოიყენეთ გამააქტიურებელი ხერხები
- სწავლების პროცესში, შესაბამის პრობლემაზე გააკეთეთ აქცენტი
- გაითვალისწინეთ კონტექსტი და განსხვავებული პერსპექტივები



- სწავლის კონსტრუქტივისტული თეორიებისგან განსხვავებით, სოციო-კონსტრუქტივისტული თეორიები დაკვირვების ნაცვლად ყურადღებას ინტერაქციაზე ამახვილებენ
- ეს შეიძლება ჯგუფური განხილვების ფორმით განხორციელდეს

### რჩევები:

- ფოკუსირდით მოსწავლეთა ინტერაქციაზე, და არა მხოლოდ დაკვირვებაზე.
- მონაწილეები უნდა იყვნენ აქტიურები!



## მიმოხილვა იმ საკითხებისა, რომელსაც განვიხილავთ

- 1 "აისბრეიკერები"
- 2 თეორიების შესწავლა
- 3 როგორ დავგეგმთ ლექცია
- 4 როგორ გავააქტიურით მონაწილეები
- 5 როგორ მივიღოთ უკუკავშირი
- 6 როგორ მოვახდინოთ ლექციაზე რეფლექსია




დაუსვით საკუთარ თავს შემდეგი კითხვები:

- რამდენად დიდია მონაწილეთა ჯგუფი?
- რა პროფესიის არიან მონაწილეები?
- რა ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება აქვთ მონაწილეებს ?
- რატომ მოდიან მონაწილეები ლექციაზე?
- რამდენად თვით-მოტივირებული იქნებიან მონაწილეები ლექციაზე?
- სად ტარდება შეხვედრა?
- სივრცის თვალსაზრისით, როგორი პირობებია?
- რამდენი დრო გაქვთ ლექციისთვის?
- რა შემადგენლობის არის ჯგუფი? რამდენი წლის არიან დამსწრეები? ვინ ხელმძღვანელობს ჯგუფს და ვის აქვს გავლენა? ჯგუფში პოზიტიური თუ უარყოფითი გარემოა?
- ვინ არიან სხვა დაინტერესებული მხარეები? რა მოლოდინები აქვთ მათ?

(ჰეიმანი (Heimann) და სხვები, 1979 წ. - ბერლინის მოდელი: სტრუქტურის ანალიზი)



## მოდულის ბოლოს სტუდენტი შეძლებს...



ბლუმი, ბ. ს (1956).  
 "საგანმანათლებლო მიზნების ტაქსონომია, სახელმძღვანელო I: შემეცნებითი სფერო".  
 ნიუ იორკი: David McKay Co Inc.  
 ვიდეო:  
<https://www.youtube.com/watch?v=ayefSTAnCR8>

<https://www.teachthought.com/learning/what-is-blooms-taxonomy-a-definition-for-teachers/>



This project has received funding from the European Union's Horizon 2020 research and innovation programme under grant agreement No 785081. Disclaimer: The content of this material does not reflect the official opinion of the European Union. Responsibility for the information and views expressed lies entirely with the author(s).

ბლომის დონეები	საკვანძო სიტყვები	სანიმუშო სასწავლო მიზანი
<b>შექმნა</b>	დიზაინი, ფორმულირება, აშენება, გამოგონება, შექმნა, შედგენა, წარმოქმნა, წარმოება, მოდიფიცირება, განვითარება	გაკვეთილის დასრულების შემდეგ, მოსწავლეს შეეძლება საშინაო დავალების ორიგინალური პრობლემის შედგენა, ენერჯის შენახვის პრინციპის შესახებ
<b>შეფასება</b>	არჩევა, მხარდაჭერა, ურთიერთობა, განსაზღვრა, დაცვა, განსჯა, შეფასება, შედარება, კონტრასტი, კამათი, გამართლება, დარწმუნება, შერჩევა	გაკვეთილის დასრულების შემდეგ, მოსწავლეს შეეძლება განსაზღვროს რომელი მიდგომა უფრო მიესადაგება დინამიკის ამოცანის ამოხსნას: ენერჯის შენახვა თუ მომენტის შენახვა
<b>გაანალიზება</b>	კლასიფიკაცია, დაშლა, კატეგორიზაცია, ანალიზი, დიაგრამა, ილუსტრაცია, კრიტიკა, გამარტივება, ასოცირება	გაკვეთილის დასრულების შემდეგ, მოსწავლეს შეეძლება განასხვავოს პოტენციური და კინეტიკური ენერჯია ერთმანეთისგან
<b>გამოყენება</b>	გამოთვლა, პროგნოზირება, გამოყენება, გადაჭრა, ილუსტრაცია, გამოყენება, დემონსტრირება, განსაზღვრა, მოდელირება, შესრულება, წარდგენა	გაკვეთილის დასრულების შემდეგ, მოსწავლეს შეეძლება გამოიანგარიშოს ჭურვის კინეტიკური ენერჯია
<b>გაგება</b>	აღწერა, ახსნა, პერიფრაზირება, გადახედვა, ორიგინალური მაგალითების მოყვანა, შეჯამება, კონტრასტი, ინტერპრეტაცია, განხილვა	გაკვეთილის დასრულების შემდეგ, მოსწავლეს შეეძლება საკუთარი სიტყვებით აღწეროს ნიუტონის სამი კანონი
<b>დამახსოვრება</b>	ჩამოთვლა, რედაქტირება, მონახაზი, განსაზღვრა, დასახელება, მისადაგება, ციტირება, შეხსენება, იდენტიფიცირება, ეტიკეტირება, ამოცნობა	ამ გაკვეთილის დასრულების შემდეგ, სტუდენტი შეძლებს მოახდინოს ნიუტონის სამი კანონის ფორმულირება

სასწავლო მიზნები ადაპტირებულია ნელსონ ბეიკერის ნაშრომიდან, "Georgia Tech": [nelson.baker@pe.gatech.edu](mailto:nelson.baker@pe.gatech.edu)



This project has received funding from the European Union's Horizon 2020 research and innovation programme under grant agreement No 785081. Disclaimer: The content of this material does not reflect the official opinion of the European Union. Responsibility for the information and views expressed lies entirely with the author(s).

- ყველა ლექცია უნდა დაიგეგმოს მაკრო და მიკრო სტრუქტურაში
- *მაკრო: სალექციო დროის პერიოდის სასწავლო მიზნებისთვის სტრუქტურირება*
  - დროის სხვადასხვა მონაკვეთშია ორგანიზებული?
  - მთელ სემესტრზეა განაწილებული
  - [იხ. სლაიდი - შესავალი კითხვები]
- *მიკრო: დიდაქტიკური ელემენტები სასწავლო მიზნის მისაღწევად*
  - შემდეგი დეტალების შემუშავება: დრო, სახელი, აღწერა, მოწყობა, მასალა, შენიშვნები
  - [იხ. მაგალითი შემდეგ სლაიდზე]



Time	Element	Description	Arrangement	Material	Notes/Sources
3'	Introduction	Didactics Matter	Lecturer	Slide 2	
15'	Breaking the ice – Speed Dating / Carousel	<p>The following questions have to be discussed in an 3 rounds speed dating/carousel exercise a 3' (explanation in TLAC article need to be translated)</p> <p>What is your name?            Who was your favorite teacher?            Why was this person your favorite teacher?            What was your most exciting learning experience?</p>	Speed Dating Room Setting	Slide 3-4 and cards/sticky notes	<p>TLAC translated</p> <p><a href="http://www.classtools.net/bl/og/using-speed-dating/">http://www.classtools.net/bl/og/using-speed-dating/</a>  <a href="https://www.uni-due.de/imperia/md/images/zfh/mentoring-tutorien/speed_dating.pdf">https://www.uni-due.de/imperia/md/images/zfh/mentoring-tutorien/speed_dating.pdf</a></p>
10'	How to break the ice	Explain different icebreaking examples (Personal Introduction, Sorting the Group, Interviewing your Neighbor, Flipchart Parcour)	Lecturer	Slide 5	TLAC new chapter 2
5'	Learning theories	Explain different Learning theories and use Material “Learning theories”	Lecturer	Slides 6-11	TLAC new chapter “Learning theories”
15'	Learning outcomes	<p>Explain the importance of thinking about the learning outcome of a lecture and explain the Bloom And show video:</p> <p><a href="https://www.youtube.com/watch?v=ayefSTAnCR8">https://www.youtube.com/watch?v=ayefSTAnCR8</a>            and/or the SOLO Taxonomy (Biggs)  <a href="https://www.youtube.com/watch?v=uDXXV-mCLPg">https://www.youtube.com/watch?v=uDXXV-mCLPg</a></p>	Lecturer & Video	4 Slides	<p><a href="https://www.youtube.com/watch?v=ayefSTAnCR8">https://www.youtube.com/watch?v=ayefSTAnCR8</a></p> <p><a href="http://www.johnbiggs.com.au/academic/solo-taxonomy/">http://www.johnbiggs.com.au/academic/solo-taxonomy/</a></p>
10'	Break	Take a break and drink tea/coffee!		Tea/Coffee & Cookies	





# როგორ გავააქტიურით მონაწილეები



## როდის?

- კონტენტის განხილვისა და ჯგუფების გააქტიურების (საკითხის წამოწყება, შეჯამება) კომბინირება, დისკუსიასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ჩათვლით
- **ჯგუფი:** 15-60 ადამიანი
- **დრო:** 1 სთ-ზე მეტი
- **პლიუსები:** სიღრმისეული განხილვა, სტუდენტები სწავლობენ ერთმანეთისგან
- **მინუსები:** სჭირდება დიდი დრო და მომზადება, სტუდენტებს უკვე უნდა ჰქონდეთ გარკვეული ცოდნა

## რა?

- იდეების შემუშავება ჯგუფებში
- ჯგუფების არევა და საუბრისას ცოდნის გაზიარება

## როგორ?

- შექმენით სასიამოვნო გარემო ჯგუფებში განსახილველის მოსაწყობად
- მაგიდებზე დადევით კალმები და ფურცლები
- 4 წევრისგან შემდგარი ჯგუფური დისკუსიის 3 ოცნებითიანი რაუნდი

## ვარიანტი

- რაუნდებისა და ჯგუფის წევრების რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს



- მაგიდები ისე განალაგეთ, როგორც კაფეში
  - თითო მაგიდაზე 5-ზე მეტი სკამი არ არის საჭირო
- გააკეთეთ სამი 20 წუთიანი დისკუსიის რაუნდი
  - თითო რაუნდზე, მონაწილეებს ერთი კითხვა გამოუცხადეთ განსახილველად
  - თითო რაუნდზე, ერთი ადამიანი რჩება მაგიდასთან, მასპინძლის სახით
  - მაგიდასთან მსხდომი სხვა მონაწილეები სხვა მაგიდასთან გადადიან.
  - მაგიდის მასპინძელი აცნობს ახალმოსულ მონაწილეებს თუ რა თემები განიხილეს წინა რაუნდზე
- დასასრულს, ინდივიდუალურ მონაწილეებს სთხოვეთ რომ მთელს ჯგუფს გაუზიარონ თავიანთი შეხედულებები წარმოებულ დისკუსიებთან დაკავშირებით.



## როდის?

- გამოიყენეთ ეს მეთოდი, დებატებში ჩართვით, სტუდენტების გასააქტიურებლად
  - **ჯგუფი:** 20-40 ადამიანი
  - **დრო:** მინ. 30 წ.
  - **პლიუსები:** ძირითადი ფოკუსირება დისკუსიებსა და დისკუსიებში მონაწილეებზე კეთდება
  - **მინუსები:** საჭიროებს ჯგუფში გარკვეულ დისციპლინას

## რა?

- მცირე ჯგუფი ჩართულია დისკუსიაში და დანარჩენი წევრები მათ უსმენენ
- დროდადრო, ჯგუფის დანარჩენ მონაწილეებს მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა ეძლევათ

## როგორ?

- შუა ოთახში, 4-5 სკამისგან შეკარით წრე
- დანარჩენი მონაწილეებისთვის უფრო დიდი წრე გააკეთეთ (აკვარიუმის ფორმის)

## ვარიანტი

- არსებობს გარე წრეში მსხდომი მონაწილეების ჩართულობის სხვადასხვა მეთოდი (სტუმრის სკამი, კენჭისყრა,...)



- არ არსებობს განსხვავება სპიკერებსა და აუდიტორიას შორის
- სიფრთხილე: ინტროვერტულმა მონაწილეებმა შეიძლება თავი შეიკავონ საუბრისგან
- მათი ჩართვის მიზნით, შეკრიბეთ მათი მოსაზრებები, სთხოვეთ მათ დისკუსიის დაწყებამდე, თავიანთი აზრები პატარა ფურცლებზე (“სტიკერებზე”) დაწერონ
- დისკუსიის დროს, დასვით კითხვები, პირდაპირი ხმის მიცემის რეჟიმში



## როდის?

- გამოიყენეთ იგი ინდივიდუალური გააქტიურების ტექნიკის სახით
- **ჯგუფი:** მოქნილი/ზრდის შესაძლებლობის მქონე
- **დრო:** მინ. 10 წ.
- **პლიუსები:** ხანმოკლე და მარტივი შესასრულებელია
- **მინუსები:** საჭიროებს მომზადებას (კროსვორდის ქვიზის შედგენა)

## რა?

- მცირე ზომის ქვიზები მონაწილეებს ეხმარება კონტენტის უკეთ გააზრებაში და თქვენ - მონაწილეების ცოდნასთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოჩენაში

## როგორ?

- რამდენიმე კითხვა შინაარსთან დაკავშირებით
- მოსაზრებებთან დაკავშირებული უფრო რთული კითხვებისთვის, შეგიძლიათ გამოიყენოთ ხმის მიცემის ციფრული სისტემები

## ვარიანტი

- დასაწყისში: მიიღეთ უკუკავშირი, სტუდენტების ცოდნის შესახებ
- კურსის განმავლობაში: შეაფასეთ თქვენი სტუდენტების სწავლის პროცესი
- დასასრულს: მიეცით მოსწავლეებს თვითშეფასების შესაძლებლობა





- კროსვორდი შემდეგი ბმულიდან მოამზადეთ:  
<http://www.eclipsecrossword.com/>
- დაურიგეთ ის მოსწავლეებს, როგორც საკლასო სავარჯიშო ან საშინაო დავალების სახით
- შეადარეთ პასუხები კლასში





## როდის?

- ეს მეთოდი გამოიყენეთ იმისათვის, რომ მოსწავლეებს მასწავლებლის როლის მორგებისკენ მოუწოდოთ
- **ჯგუფი:** 10-30 ადამიანი
- **დრო:** მინ. 45 წ.
- **პლიუსები:** ორიენტირებულია ცოდნის გადაცემაზე და სტუდენტების მიერ მასწავლებლის როლის მორგებაზე
- **მინუსები:** საჭიროებს დისციპლინას ჯგუფში

## რა?

- კონტენტი დაყოფილია საკითხებად
- მონაწილეები ირგებენ მოსწავლის, ისევე როგორც მასწავლებლის როლს

## როგორ?

- მცირე ჯგუფები აგზავნიან ერთ წარმომადგენელს სხვა ჯგუფის დესპანთან რათა გაეცნოს ინფორმაციას გარკვეული საკითხის შესახებ
- დესპანი უბრუნდება თავის ჯგუფს და აწოდებს ინფორმაციას განხილული საკითხის შესახებ

## ვარიანტი

- დაამატეთ შესრულების შეფასება (performance review)
- შედარებით მცირე ჯგუფები მოითხოვს დესპანების ან წყვილების გაორმაგებას



- გაეცანით შემდეგ ინსტრუქციებს მოზაიკის მოსამზადებლად:  
[https://en.wikipedia.org/wiki/Jigsaw \(teaching technique\)](https://en.wikipedia.org/wiki/Jigsaw_(teaching_technique)))
- ეს მეთოდი გამოსადეგია რთული საკითხების განხილვისას
- მისი ძირითადი პრინციპია, რომ სტუდენტმა დაინახოს განსხვავება ცოდნის მიღებასა და მიღებული ინფორმაციის მონაწილეებისთვის მიწოდებას შორის
- მოსწავლეები მასწავლებლის როლსაც ითავსებენ



## როდის?

- გამოიყენეთ იგი, შინაარსზე დაფუძნებული დებატით, სტუდენტების გასააქტიურებლად,
  - ჯგუფი: 10-30 ადამიანი
  - დრო: მინ. 30 წ.
  - პლიუსები: ფოკუსირებულია გარკვეული ჯგუფის დისკუსიაზე
  - მინუსები: ზოგი სტუდენტი მხოლოდ „დამკვირვებლის“ სტატუსით შემოიფარგლება

## რა?

- 2-4 მონაწილე ამზადებს 2-3 სამეცნიერო ტექსტს და ახდენს პანელური დისკუსიის სტრუქტურირებას

## როგორ?

- თითოეულ სესიაზე, მონაწილეთა ერთი ჯგუფი ახდენს დისკუსიის მოდერაციას
- მონაწილეებს შეუძლიათ დასვან შეკითხვები ან გააკეთონ კომენტარები

## ვარიანტი

- სადისკუსიო ჯგუფი შეიძლება განსხვავდებოდეს ზომით



- გაეცანით შემდეგ ბმულს:  
<https://www.slideshare.net/maheswarijaikumar/panel-discussion-92749665>
- ეს მეთოდი ეხმარება სტუდენტებს გაიაზრონ თუ როგორ
  - გაითავისონ და კრიტიკულად შეაფასონ თეორიები
  - შეიძინონ სხვადასხვა სახის ცოდნა
  - მოამზადონ და სამეცნიერო დებატებში ჩაერთონ აუდიტორიასთან
- როგორც გააქტიურების მეთოდი, ჩვენ გვაინტერესებს საგანმანათლებლო სახის პანელური დისკუსია
- დისკუსიის ეს ფორმა არ უნდა აგვერიოს ექსპერტთა პანელურ დისკუსიაში

- დასასრულს, შეაჯამეთ თქვენი ლექცია, რათა მონაწილეებმა უკეთ გაიაზრონ ლექციის კონტენტი
- გაიმეორეთ თქვენი კურსის სამი ძირითადი მესიჯი
  - მოუწოდეთ მონაწილეებს რომ თქვენთან ერთად, კიდევ ერთხელ გადახედონ ლექციის კონტენტს
- გაიმეორეთ ლექციის სამი ძირითადი დებულება და გააკეთეთ შემდეგი ლექციის მონახაზი.

- დაასრულეთ თქვენი ლექცია შემაჯამებელი კითხვებით ან კვლევითი სახის დავალებით, რომ უზრუნველყოთ მონაწილეების შემდეგ ლექციამდე ჩართულობა
- ეს საშუალებას აძლევს მონაწილეებს რომ სიღრმისეულად დაფიქრდნენ მოცემულ საკითხზე (რეფლექსია)
- შეიმუშავეთ ერთი ან მეტი შეკითხვა ან დავალება თქვენს ლექციასთან დაკავშირებით

- დაასრულებთ ლექცია რაიმე ფრაზით, გამონათქვამით. თქვენს მიერ არჩეული გამონათქვამი უნდა შეესაბამებოდეს ლექციის კონტენტს.
- ლექციების კონტენტთან დაკავშირებით, მოკლე მოთხრობის მოყოლამ შეიძლება ხელი შეუწყოს ინფორმაციის უკეთ დამახსოვრებას
- როდესაც იყენებთ იუმორს, დარწმუნდით, რომ თქვენი მსმენელი კარგად მიხვდება თქვენი ხუმრობის შინაარსს.





## მიმოხილვა იმ საკითხებისა, რომელსაც განვიხილავთ

1	“აისბრეიკერები”
2	თეორიების შესწავლა
3	როგორ დავგეგმოთ ლექცია
4	როგორ გავააქტიუროთ მონაწილეები
5	როგორ მივიღოთ უკუკავშირი
6	როგორ მოვახდინოთ ლექციაზე რეფლექსია



## როდის?

- კონტენტზე დაფუძნებული უკუკავშირის მისაღებად
- დრო: მინ. 20 წ.
- პლიუსები: კონტენტზე დაფუძნებული
- მინუსები: არ არის „განწყობაზე“/დაფუძნებული

## რა?

- დარწმუნდით, რომ მონაწილეებმა წაიკითხეს თქვენს მიერ მიწოდებული ტექსტები
- მიიღეთ უკუკავშირი მონაწილეთა ცოდნის შესახებ

## როგორ?

- დასვით 2-3 ღია შეკითხვა, დავალებასთან დაკავშირებით
- მონაწილეები დაწერენ მოკლე პასუხებს
- შეაგროვეთ პასუხები სესიაზე



- მოთხოვნები მკაფიოდ დაასაბუთეთ:
  - ბოლო ვადა („დედლაინი“)
  - ზომა
  - მოხდება თუ არა ფურცლების შეგროვება
  - პასუხების გაცემა ანონიმურად მოხდება?
- უპირატესობა: ყველა სტუდენტისგან იღებთ პასუხს და არა მხოლოდ რამოდენიმესგან
  - განსაკუთრებით: ჩუმი, არააქტიური სტუდენტებისგან
- შეგიძლიათ დასვათ კითხვა კურსის კონტენტთან დაკავშირებით (გაიგეს თუ არა)
- მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ:
  - <https://www.youtube.com/watch?v=NHC60vXCARY>



## როდის?

- განწყობაზე დაფუძნებული უკუკავშირის მისაღებად
- დრო: მინ. 20 წუთი
- პლიუსები: განწყობაზე დაფუძნებული
- მინუსები: კონტენტზე დაფუძნებული კითხვები რთულია

## როგორ?

- გააკეთეთ პლაკატი, სადაც მონაწილეების განწყობის აღმნიშვნელი შკალაა მოცემული
- მონაწილეები თავიანთ პასუხებს **წებოვანი წერტილებით** მიუთითებენ
- იკითხეთ, ბარომეტრით მოულოდნელი შედეგები ხომ არ მიიღეს

## ვისთვის?

- მასწავლებლს შეუძლია მონაწილეთა განწყობა შეაფასოს
- დააფიქსიროს ჯგუფში არსებული პრობლემები
- იკითხოს კმაყოფილი არიან თუ არა მონაწილეები
- მონაწილეებს შეუძლიათ შეაფასონ საკუთარი განწყობა და მიიღონ სრული სურათი

- ლექციის დაწყებამდე, გააკეთეთ პლაკატი, სადაც მონაწილეების განწყობის აღმნიშვნელი შკალაა მოცემული
- მონაწილეები თავიანთ პასუხებს **წებოვანი წერტილებით** მიუთითებენ
- ჰკითხეთ სტუდენტებს, შეესაბამება თუ არა ბარომეტრის შედეგები მათ მოლოდინებს და შემდეგ, თქვენი საკუთარი მოსაზრება გააცანით მათ

## მიმოხილვა იმ საკითხებისა, რომელსაც განვიხილავთ

1	“აისბრეიკერები”
2	თეორიების შესწავლა
3	როგორ დავგეგმოთ ლექცია
4	როგორ გავააქტიუროთ მონაწილეები
5	როგორ მივიღოთ უკუკავშირი
6	როგორ მოვახდინოთ ლექციაზე რეფლექსია



- ჩართეთ რეფლექსიის ეტაპი თქვენი ლექციის დაგეგმვის პროცესში
- გადახედეთ შესავალ კითხვებს: გამართლდა თქვენი ვარაუდები?
- გადახედეთ ლექციების დაგეგმვის სტრუქტურას: საჭიროა რაიმეს შეცვლა?
  - დროის განსაზღვრა?
  - დაგეგმვის სტრუქტურის გარკვეული ელემენტები შეიძლება გამოიყენოთ ისე, როგორც გქონდათ დაგეგმილი? უნდა შეცვალოთ, გამოტოვოთ, თუ დაამატოთ სხვა ელემენტები?
  - ოთახში არსებული აღჭურვილობა და **მსგავსი დეტალები** საკმარისი აღმოჩნდა?
  - გამოგადგათ მასალები (მედია, დასარიგებელი მასალა, სლაიდები და ა.შ)?
  - აქტიურები იყვნენ მონაწილეები? რატომ (რატომ არა?)

